სარჩელი

ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	2223874			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე	01015010047 18001007618	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

		599902520 599717407		ngujaraidze@greenalt.org irma_maxatadze@yahoo.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2. საქართველოს მთავრობა		1. ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.#6. 2. ქ. თბილისი, პ.ინგოროყვას ქ.#7

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი ნომერი (საიდენ.)	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ..	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

	სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	samuSao adgili da samuSao adgilis misamarTi

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2018 წლის 21 თებერვალს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, შპს ,,ენერგოტრანსი“-ს 2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი თავისი მოთხოვნის საფუძვლად წერილში ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტს უთითებს.

2018 წლის 13 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა #2-152 ბრძანებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შპს „ენერგოტრანსს“ ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (12,6 კმ-იანი მონაკვეთი) განხორციელების უფლება მიანიჭა.

2018 წლის 29 მაისს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში და მოითხოვა - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან

გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინა 2018 წლის 29 მაისს, მაშასადამე, გასულია ერთი თვე და 28 დღე, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, წინამდებარე ადმინისტრაციული სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 21 თებერვალს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, შპს ,,ენერგოტრანსი"-ს **2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი** დოკუმენტაციის განხილვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი თავისი მოთხოვნის საფუძვლად წერილში ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონსა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტს უთითებს.

მტკიცებულება: დანართი 1. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილი #04/308

2. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 22 თებერვალს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მისივე 2018 წლის 21 თებერვლის #04/308 წერილით გაგზავნილ მოთხოვნასთან დაკავშირებით **დამატებით აცნობა**, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" ითხოვდა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე.

მტკიცებულება: დანართი 2. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 22 თებერვლის წერილი #04/317

3. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 13 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა #2-152 ბრძანებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შპს „ენერგოტრანსს" ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (12,6 კმ-იანი მონაკვეთი) განხორციელების უფლება მიანიჭა.

მტკიცებულება: დანართი 3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი"-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ".

4. ფაქტობრივი გარემოება

„შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანების თანახმად, შპს „ენერგოტრანსმა“ მშენებლობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს რიგი დოკუმენტებისა, რომელიც სწორედ გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და განხილული. კერძოდ:

„3.3 ვინაიდან, საპროექტო უბანი მდებარეობს ფრინველთა სეზონური მიგრაციის დერეფანში და აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ფრინველთა სხვადასხვა, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცული სახეობები, საჭიროდ მიმაჩნია, სადენების მარკირება განხორციელდეს სრულ საპროექტო ტერიტორიაზე. ასევე, **მშენებლობის დაწყებამდე ჩატარდეს კვლევა, პროექტის გავლენის ტერიტორიაზე ფრინველთა ბუდეების აღრიცხვის მიზნით.** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და/ან საკომპენსაციო ქმედებები. მშენებლობის დაწყებამდე, კვლევის მასალები სათანადო რეკომენდაციებითა და დასკვნებით წარმოდგენილ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) შესათანხმებლად.

3.4 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში **წარმოადგინოს ჭრას დაქვემდებარებულ მცენარეთა ნუსხის ქართული და სამეცნიერო (ლათინური) დასახელებები**;

3.5 მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას **ინფორმაცია ეგხ-ს მდინარეების გადაკვეთის ადგილებში წყალსა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე.** აღნიშნულ ინფორმაცის, საჭიროების შემთხვევაში თან უნდა ახლდეს, შესაბამისი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;

3.6 პროექტის განხორციელებით **ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკომპენსაციოდ, მშენებლობის დაწყებამდე, სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა შესათანხმებლად**. აღნიშნულ გეგმაში ასახულ უნდა იქნას, **სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია იმ ჰაბიტატების თაობაზე, რომლებიც ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება და იმ ცხოველთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში და მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე;“**

„3.9 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოამზადოს და სამინისტროში წარმოადგინოს **საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებისა და მოვლენების გავრცელების რუკა, სადაც ასახული იქნება ის სენსიტიური უბნები, რომლებიც მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ყველაზე მაღალი რისკის მატარებლები არიან. ყოველი კონკრეტული უბნისთვის შეიმუშაოს უსაფრთხოებისთვის საჭირო შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები და წარმოადგინოს სამინისტროში განსახილველად;**

3.10 მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოადგინოს შეცვლილი **7 საყრდენის ადგილზე ხელბურღით გაყვანილი 7 (NN 138-144) ჭაბურღილის კოორდინატები;“**

მტკიცებულება: დანართი 3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

5. ფაქტობრივი გარემოება

2018 წლის 29 მაისს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავრობაში და მოითხოვა - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენიდან გასულია ერთი თვე და 28 დღე, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება - ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მტკიცებულება: დანართი 6. ადმინისტრაციული საჩივარი

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმარლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ის 2.1 მუხლის ‘დ’ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 ბრძანება

ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია შპს „ენერგოტრანსი"-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2.3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისადმი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილით მიმართვის საფუძველზე. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა (1),,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის, (2) ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტისა და (დამატებით წარდგენილი მოთხოვნის თანახმად) (3) ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, მოითხოვა ქსანი-სტეფანწმინდის შემაერთებელი 500კვ.ელ. გადამცემის ხაზის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 12კმ-იანი შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, შპს ,,ენერგოტრანსი"-ს **2018 წლის 19 თებერვლის № 111 განცხადებით სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი** დოკუმენტაციის განხილვა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემა.

2. 2018 წლის 21 თებერვალს (ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას) უკვე ძალადაკარგული იყო ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი; სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი კი კანონზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდა.

3. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ამ პერიოდში, ასევე, უკვე აღარ ითვალისწინებდა მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის მეორე სტადიაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას. შესაბამისად, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო აღარ იყო უფლებამოსილი მიემართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურენობის სამინისტროსათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და/ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. შპს „ენერგოტრანსს" თავად უნდა მოეპოვებინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

4. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, პროექტს უნდა გაევლო კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრული გზშ-ს ყველა ეტაპი სრულყოფილად, რასაც ადგილი არ ჰქონია. არ ყოფილა წარდგენილი და განხილული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და არ მომხდარა დოკუმენტაციის საჯარო განხილვა.

5. გასაჩივრებული აქტის ტექსტის თანახმად, აქტი გამოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით გაცემას. თუმცა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს, ადმინისტრაციული წარმოება 2018 წლის 21 თებერვალს დაიწყო და არ არსებობდა არანაირი საფუძველი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით გაცემისათვის.

6. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

7. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც

ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

8. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უხეშად „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22.10 მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით ამ საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

9. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ივნისის ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმარლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი).

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს მთავრობის, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ.#7.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის ‘ა’ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ია 183.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2.3. სზაკ-ის 201.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2.4. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

სზაკ-ის 185-ე მუხლის თანახმად თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

2.5. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2.6. სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი 2018 წლის 6 აპრილს. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენიდან გასულია ერთი თვე და 26 დღე, მაშასადამე, სზაკ-ის 177.2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სახეზეა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2018 წლის 29 მაისის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

2.7. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადნიმისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა. შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

2.8. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეს წარმოადგინოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

სასამართლოს წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში აღინიშნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ. კერძოდ: **შეჩერდეს - ორგანომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის #2-152 ბრძანების მოქმედება.**

არგუმენტაცია:

შუამდგომლობა წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების აღნიშვნის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს, შესაბამისად სარჩელი მიღებული უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში და ცნობილი უნდა იქნეს დასაშვებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე.

კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით;

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები არ ექცევა სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზვრულ ჩამონათვალში, ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებით, მისი მოქმედება ჩერდება ავტომატურად ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით დაასაბუთოს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლით ხდება სასამართლოს მიერ სადაო აქტის მოქმედების შეჩერება (ადმ.საპ. კოდექსის 29.1 მუხლი, კანონისმიერი შეჩერება, სუსპენზიური ეფექტი).

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	☐	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	**არა** ☒	

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:	
5.	

SeniSvna-1

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☒	მტკიცებულება: იხ. ადმინისტრაციული საჩივარი.
არა	☐	რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

SeniSvna-2

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი #1. - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 21 თებერვლის წერილი #04/308 - 2 ფურცელი;

დანართი #2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 22 თებერვლის წერილი #04/317- 1 ფურცელი;

დანართი #3. - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის ბრძანება #2-152 „შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ძაბვის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ – 5 ფურცელი;

დანართი 6: 2018 წლის 29 მაისის ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობას - 9 ფურცელი;

დანართი 7: ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი 8: რწმუნებულება - 2 ფურცელი;

დანართი 9: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 42

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	26.07.2018
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.